საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგორიანი მიხეილ კარაპეტის ძე

მ. გრიგორიანი

გრიგორიანი მიხეილ კარაპეტის ძე (დ. 2. X. 1940, თბილისი), სომეხი რეჟისორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1984). 1959-იდან მუშაობს თბილ. ს. შაუმიანის სახ. სომხ. სახელმწ. დრამ. თეატრში მსახიობად. საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1965) სხვადასხვა დროს მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად და მთ. რეჟისორად თბილისის სომხურ სახელმწ. დრამ. თეატრში. გ-ის საუკეთესო დადგმები: ნ. ზარიანის „მშვენიერი არა", ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან", გ. სუნდუკიანის „ხათაბალა", ა. შირვანზადეს „ავი სული", ვ. ჰიუგოს „ანჟელო", ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", ნ. მაკიაველის „მანდრაგორა", ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი", ევრიპიდეს „მედეა" და სხვ. სპექტაკლები დადგა აგრეთვე თბილ. სანკულტურის (ც. სოლოდარის „ერთი დღე აგარაკზე"), ზუგდიდის შ. დადიანის სახ. (ე. მ. რემარკის „უკანასკნელი გაჩერება"), ჭიათურის ა. წერეთლის სახ. (გ. სუნდუკიანის „ხათაბალა") და სხვ. თეატრებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

შ. ცუცქირიძე